

## თურქულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობიდან

### 4. თურქული ლექსიკური ელემენტებისათვის ლაზურში

#### სმარბი ჯიქია

ზემოაღნიშნული საერთო სათაურით უკვე გამოქვეყნებულია სამი წერილი: 1. „თურქული ლექსიკური კალკები ლაზურში“ (თსუშ, ტ. 108, 1964), 2. „თურქული სინტაქსური კალკები ლაზურში“ (თსუ-ს საიუბილეო კრებული ორი-ონი, მიძღვნილი აკაკი შანიძის დაბადების 80 წლისთავისადმი, 1967) და 3. „თურქულ ბგერათა ვადმოცემისათვის ლაზურში“ (თსუშ, ტ. 8—9, 1974).

ამ წერილში გვინდა წარმოვადგინოთ მცირეოდენი შენიშვნები ლაზურში თურქულიდან ნასესხებ სიტყვათა წარმომავლობის, სემანტიკური ჯგუფებისა და მათგან წარმოქმნილ ლექსიკურ ერთეულთა შესახებ. უპირველესად ყოვლისა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ საუკუნეთა განმავლობაში ლაზურ ენას საერთოდ და, კერძოდ, მის ლექსიკურ სისტემას განვითარება მოუხდა არამონათესავე თურქული ენის ძლიერი ზემოქმედების პირობებში. მკიდრო და იძულებითმა კონტაქტებმა გამოიწვია თურქული ლექსიკის ჰარბად შემოქრა ლაზთა ცხოვრების ყველა სფეროში. თანამედროვე ლაზურის მეცნიერული შესწავლისათვის საჭიროა, რა თქმა უნდა, მისი ლექსიკის შესწავლაც, კერძოდ კი, თურქული ლექსიკური ფენების გამოვლინება. ჩვენს ეს მცირე ნაშრომი ამ თვალსაზრისით, ცხადია, წინასწარი ხასიათისაა. ლაზურში თურქული ლექსიკის ხვედრითი წონა ძალზე დიდია. ყველა ლაზური წყაროდან უნდა ამოიკრიბოს მთელი მასალა (ამჟამად ასეთი სამუშაოს 70%-მდე უკვე შესრულებულია) და საგანგებოდ იქნას შესწავლილი.

თურქულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობა, ცხადია, გულისხმობს ამ ურთიერთობის მეორე მხარესაც. მხედველობაში მაქვს ლაზური მეტყველების გაგონა თურქულ ენაზე, საერთოდ, და მის დიალექტებზე, კერძოდ. ამ მხრივ უნდა ითქვას, რომ ამჟამად მანცდამანც საამისო პირობები არ არსებობს: ლაზურის მომიჯნავე თურქული დიალექტები ჯერჯერობით სათანადოდ შესწავლილი არ არის. არც თურქული დიალექტოლოგიური ლექსიკონების შედგენა-გამოცემის საქმეა ბოლომდე მიყვანილი. მაგრამ აქა-იქ გაფანტული და შემთხვევითი ცნობები თურქულ სამყაროში ლაზური კულტურის კვალთან ერთად სათანადო ენობრივი მასალების შედგენაზე ახლაც მოიპოვება. მაგალითად, საერთო ქართველური სიტყვა „ჩაფულა“ (დასტურდება გიორგი მთაწმიდელთან), რომელიც შემორჩენილია ლაზურ-მეგრულსა და სვანურში, ლაზურიდან გავრცელდა მთელს ანატოლიაში. *capula* || *كاجولا* 'ფეხსაცმელი'. ვრცლად აქვს განმარტებული ცნობილ თურქულ ლექსიკოგრაფს მ. ზ. ფაქალინს, (იხ. M. Z. Pakalın, Osmanlı Tarih Deyimleri ve Terimleri Sözlüğü, İstanbul, 1948, s. 325). ეს ქართველური სიტყვა სხვა

თურქულ წყაროებშიც არის, ოღონდ უნდა უკუგდებულ იქნას Eski Eserler Ansiklopedisi-ს ერთ-ერთი ავტორის ძლიერ გულუბრყვილო და სასაცილო ეტიმოლოგია *çapula* <თ. *çahuk ola* „სწრაფად იყოს“. სალიტერატურო თურქულსა და მის დიალექტებში დამკვიდრებულია აგრეთვე ლაზურ-მეგრული ძიქვა 'შარვალი' კანონზომიერი ფონეტიკური ცვლილებით — *zipka* (M. A. Ağakay, Türkçe Sözlük, ანკარა, 1966), აგრეთვე ([1], 145, 217). ასეთ საკითხებს, რა თქმა უნდა, სპეციალური კვლევა სჭირდება.

§ 1. პირველ რიგში წარმოვადგენთ ნასესხობათა იმ შემთხვევებს, როდესაც ლაზური ზმნის წარმოქმნას საფუძვლად უდევს თურქული ზმნის ფუძე. საილუსტრაციო მასალაში თურქული ელემენტი ლაზური პრეფერბებისა და სხვა მორფემათაგან დეფისით არის გამოცალკეებული (ლაზური პრეფერბების ფუნქციების შესახებ იხ. ([5], 117—139). 1. *çalış*—'მუშაობა', 'მცდელობა' ზმნის ფუძეა: ო-ჩალიშ-უ—თემბელი კოჩიქ ო-ჩალიშ-უს ქოგოქქუ ([4], 16) 'ზარმაცმა კაცმა მუშაობა დაიწყო', ჰიჩ ვა ი-ჩალიშ-ეპტუ ([4], 39) 'სულ არ მუშაობდა', ჰაწი სო ი-ჩალიშ-ამ? 'ახლა სად მუშაობ?' ([6], 12), მურღულარეფქეთი ი-ჩალიშ-ამან დო ჰემ ფარაფეთი სქიდუნან ([2], 9) 'მურღულელებიც მუშაობენ და იმ ფულით ირჩენენ თავს'. 2. *düşün*—'ფიქრობს' ზმნის ფუძეა: ხირსუზიქ ნი-დუ-შუნ-უ ქი.. ([4], 205) 'ქურდმა იფიქრა, რომ'..., კოჩიქ არ ქონი-დუშუნ-უ... ([4], 12) 'კაცი ერთხანს ჩაფიქრდა', მუქო ვა ვი-დუშუნ-ა? ([4], 2) 'როგორ არ ვიფიქრო?', აქა-დაშეფქეთი ი-დუშუნ-ეს-ქი... ([4], 1). 'ამხანაგებმაც იფიქრეს, რომ...' 3. *karış* 'ერევა', 'ჩაერევა': არქალაშეფქე ვა მემისიმინეს. მან-თი ვუწვი-ქი „მან ოკულე ვა ბ-კარიშ-უ“ მა ([4], 94) 'ამხანაგებმა არ გამოგონეს. მეც ვუთხარი, რომ „მერე ჩემი ბრალი არ იქნება-მეთქი“, (სიტყვასიტყვით: „მერე მე არ ჩაერევი“). 4. *şaş*—'დაიბნა', 'გზა დაებნა', 'შეიშალა', 'გაოცდა': ბერეს გზა ქაგეა-შაშ-უ ([4], 33) 'ბიქს 'გზა დაებნა', ქეთოქ ქაგუი-შაშ-უ ([4], 31) 'ქეთო დაიბნა', ქოგომაბლეს დულოაფე დო გოი-შაშ-ი ([4], 113) 'დამაყარეს საქმეები და დავიბენი', სი ხოჯა, გოი-შაშ-ი-ი? ([5], 12) 'შენ, ხოჯავ, შეიშალე?'

§ 2. უფრო მეტია ხვედრითი წონა თურქულ სიტყვათაგან წარმოქმნილი ზმნებისა, რომელთა ფუძედ გამოყენებულია ნასესხები სახელები: 1. არაბ.-თურქ. სიტყვა *hizmet* 'სამსახური' წარმოქმნის ზმნას ო-ხეზმეთ-უ, ო-ხეზმეტ-უ: აღას ვიტოხუთ წანას დუ-ხეზმეტ-უ ([6], 52) 'ბატონს 15 წელიწადს ემსახურა', კაი მი-ხეზმეტ-ეს ([5], 29) 'კარგად მემსახურნენ', მთირი მუშის უ-ხეზმეთ-უმს, დამთირი მუშის უ-ხეზმეთ-უმს ([5], 30) 'თავის მამამთილს ემსახურება' 'თავის დედამთილს ემსახურება', უ-ხეზმეტ-ამტუ ([5], 15) 'ემსახურებოდა', დუ-ხეზმეტ-ეს ([4], 131), 'მოემსახურნენ' და სხვ. 2. არ.-თ. *kibir* 'სიამაყე', 'ამპარტაუნობა': ო-ქიბირ-უ 'ამაყოფს', 'ამპარტაუნობს': წოხლე დიღო კაი ტი დო ჰაწი მოთ ი-ქიბირ-ი? ([3], 44) 'წინათ ძალიან კარგი იყავი და ახლა რად ვამაყდი?' 3. სპარს.-თ. *pak* 'სუფთა', 'წმინდა': დომი-ფაღ-ი ([3], 39), 'გამიწმინდე', ეისელი დო დო-ფაღ-ი ([3], 29) 'ადექი და გაწმინდე'. 4. არ.-თ. *hesap* 'ანგარიში', ო-ხესაპუ 'ანგარიშობა': ჰაწი ჰემუქ იდუშუნს „მუ პა“-და დო ი-ხესაპ-უმს ([6], 90) 'ახლა ის ფიქრობს „რა ვქნა-ო“ და ანგარიშობს', ამერიკურქ ნი-ხესაპ-უ ([6], 105) 'ამერიკელმა იანგარიშა', ნი-ხესაპ-უ-ში (იქვე) 'რომ იანგარიშა'. 5. არ.-თ. *fikir* 'ფიქრო' ო-ფიქირ-უ: დო თქვან-თი კაი ი-ფიქირ-ით ([6], 9) 'და თქვენც კარგად იფიქრეთ', დო ჰეა კოჩიქ ნი-ფიქირ-უ ქი: ([6], 36) 'და იმ კაცმა იფიქრა,

რომ... 6. თ. sağ 'ცოცხალი', 'ჯანმრთელი', 'მრთელი' ო-სალ-უ 'ჯანმრთელად ყოფნა', 'გაცოცხლება': ha leta k'vaš koč'epes mebobuğatır isagasen (17, 13) 'ეს მიწა ქვის კაცებს მიუტანოთ, ყველა გაცოცხლდება', დი-სალ-ი, დი-სალ-ი? ღურელი ვორე დო მუქო ვი-სალ-ა? (14, 42) 'გაცოცხლდი, გაცოცხლდი? მკვდარი ვარ და როგორ გაცოცხლდე', მჩხუი ვა ი-სალ-უ (14, 1) 'ცხვარი არ გაცოცხლდა'. 7. თ. deli 'გაიი', 'სულელი': კოჩი შქურინაფათე ი-დელ-ენ-ია (14, 46) 'კაცი დამიწებით გიყვება-ო', ხოჯა დი-დელ-ი? ქურკი ლუენ-ი? (14, 13) 'ხოჯა გაგიყვები? ქვაბი განა ყვდება?' 8. არ.-თ. hazır 'მზა', 'დამზადებული', 'მომზადებული' ო-ხაზირ-უ: ეურაათალი ნა დირჩუნ, ოდა დემი-ხაზირ-ი (11, 85) 'ორსაწოლიანი რომ იყოს, ისეთი ოთახი მომიმზადე', სუჭრა დო-ხაზირ-ი (14, 17) 'სუფრა მოამზადა', გააი ვე ხაზია-მინონ ბაბა სქანის (14, 17) 'საკმელი უნდა მოუშვადო მამაშენს', აღწე ღურელეფე დო მჯეე ღურელეფე დი-ხაზირ-ით (14, 41) 'ახალო მკვდრებო და ძველო მკვდრებო, მოემზადეთ'. 9. სპ.-თ. pişman 'მომანებელი', ო ფიშმანუ 'სინანული': დალეფე მუში დი-ფიშმან-ეს (14, 29) 'მისმა დებმა ინანეს', მათი დობი-ფიშმან-ი (12, 16) 'მეც ვინანე'. 10. თ. pay 'ნაწილი', 'წილი'. ამ სიტყვისაგან წარმოქმნილია ზმნა 'დანაწილების', 'გაყოფის' მნიშვნელობით: უშქიეფე დი-ფა-ეს (14, 67) 'ვაშლები დაიყვეს' (შდრ. რუს. раз) 11. თ. zengin 'მდიდარი' 'გამდიდრება': ჰე ბიჭიშ ბაბა დიდო დი-ზენგინ-უ (16, 145) 'ამ ბიჭის მამა ძალიან გამდიდრდა', დი ზენგინ-ით ინგლისი დო აეროფა (13, 52) 'გამდიდრდით, ინგლისო და ევროპავ!'. 12. არ.-თ. fukara 'ღარიბი': დი-ღო დი-ფუკარ-უ (16, 56), 'ძალიან გაღარიბდა'. 13. არ.-თ. müzevir 'ცრუ', 'მატყუარა': ხანუმიშ ჰუმალეფემა იდუ დო უ-მუზევირ-უ (15, 10) 'ქალბატონის ძმებთან წავიდა და ცილი დასწამა'. 14. არ.-თ. kurban 'მსხვერპლი', 'სამსხვერპლო', 'შესაწირავი ცხოველი': გი-კურბან-უ ნანა სქანიქ (14, 88) 'გენაცვალოს (=მსხვერპლად შეგეწიროს) დედაშენი'. 15. თ. sarı 'ყვითელი': ეყულე...დი-სარ-ენ, თოფუისტერი რენგი დე-აყენ (14, 144) 'შემდეგ გაყვითლდება, თაფლისებრ ფერს მიიღებს'. 16. თ. la-kirdi 'სიტყვა', 'ლაპარაკი': მა ვილაკირ-ამ, ლაზურითი ვი-ლაკირ-ამ, თურქული-თი (15, 109) 'მე ვილაპარაკებ, ლაზურადაც ვილაპარაკებ, თურქულადაც'. 17. თ. topal 'კოჭლი': ჰუტა დოლი-თოფალ-უ (16, 111) 'ცოტათი დაკოჭლდა'. 18. სპ.-თ. nazlı 'კეკლუცი', 'ჭირვეული': არ ელჩი იდა-ის, ბოზოში ბაბაქ წუტა ი-ნაზლ-ემს-„ ოქომონჯონი ბოზო ვარ მიფონუნ“ (15, 30) 'ერთი მაჭანკალი რომ მივიდა, ქალიშვილის მამა ცოტათი გაჭირვეულდა „გასათხოვარი ქალიშვილი არ მყავს“'. 19. არ.-თ. silah 'იარაღი' (უთუოდ წარმოქმნის ზმნას, ოღონდ ჩვენ ჰერაჯრობით მიმღეობის ფორმის მაგალითები შეგვხვდა): ვით, ვითოხუთ კოჩი გო-სილახ-ერი...ოხოშა მეხთეს (16, 29) 'ათი, თხუთმეტი შეიარაღებული კაცი... მივიდნენ სახლში', გო-სილახ-ერი დელიკანეფე (14, 30) 'შეიარაღებული ახალგაზრდები'. 20. არ.-თ. rahat ო-რახათ-უ: çuta di-raxat-udort'un (17, 4) 'ცოტათი დამშვიდებულიყო'. 21. არ.-თ. hatir 'ხატორი', 'კეთილი მოგონება': ლორმოთქითი უ-ხატირ-უ დო ჰე ბოზო დოსქედინე (12, 10) 'ღმერთმაც კეთილად მოხედა და ქალიშვილი მოუჩინა'.

§ 3. თანამედროვე თურქული ენისათვის და განსაკუთრებით კი ოსმანლი-ჯასათის ფრიად დამახასიათებელია ანალიზური ტიპის ზმნები. ანალიზური ზმნა თურქულში შედგება ორი ელემენტისაგან: სახელი პლუს ლექსიკურ-სინტაქსური დანიშნულების ზმნა, რომელიც ჩვეულებრივად დამხმარე ზმნადაა ცნობილი. ასეთი

ზმნა რამდენიმეა: — etmek, eylemek, kılmak 'კეთება', 'ქმნა' (ვაკეთებ, ვქმნი, ვშვრებ) და olmak 'გახდობა', (გახდება) (18], 263). ა. კონონოვი სახსრებით მართებულად ხედავს შედგენილ ზმნებში ზმნის წარმოქმნის ფაქტს (18], 264). შესაძლებელია თურქულში ანალიზური ზმნების გავრცელებულობას ხელი შეუწყოს არაბული და სპარსული ენებიდან დიდი რაოდენობით ლექსიკის სესხებაჲც. ამ საკითხს სპეციალური კვლევა სჭირდება. ჩვენ აქ ამ საკითხზე არ ვჩერდებით, რადგანაც ეს ჩვენ თემას არ უკავშირდება, ოღონდ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ თურქული ენის უშუალო ზემოქმედებით ლაზურში დაინერგა და ძლიერ გავრცელდა ზუსტად თურქულის ტიპის ანალიზური ზმნები. ცნობილია, რომ ანალიზური ზმნები, როგორც ზმნის სტრუქტურული სისტემა, ამჟამად არც ერთი ქართველური ენებისათვის დამახასიათებელი არ არის. როგორც ქვემოთ მაგალითებიდან დავინახავთ, ლაზური შედგენილი ზმნები ზუსტად თურქული შედგენილი ზმნების ანალოგიურია. ლაზურში შედგენილი ზმნის სახელადი ნაწილი თურქულიდან ნასესხები ელემენტია, ხოლო დამხმარე ზმნა ლაზურია. მაგალითები: ა) შედგენილი ზმნა ლაზურში წარმოდგენილია თ. olmak ზმნის ლაზური ეკვივალენტით. 1. სპ.-თ. kavga 'ხმაური', 'ჩხუბი'. 'ომი': ემ წანაფეს ოსმანლიში დო ურუსიში კაბლა დიყუ (13], 11) 'იმ წლებში ოსმალსა და რუსის ომი შეიქმნა'. 2. არ.-თ. yemin 'ფიცის':-ემინი პი (15], 24)←თ. yemin ettim (სიტყვასიტყვით: „ფიცი გავაკეთე“) 'დავიფიცე'. 3. არ.-თ. მუჰაფეზე←muhafaza 'დაცვა', 'შენახვა': „ფარა თქვანი მუჰაფეზე ყვით (14], 56) თქვენი ფული შეინახეთ' (სიტყვასიტყვით: „თქვენ ფულს შენახე უქენით“). 4. 'მუაინე არ.-თ. muayene 'შემოწმება', 'გასინჯვა': დოხოთოქ მუაინე ყუ (14], 113) 'ექიმმა გასინჯა (სიტყვასიტყვით: „გასინჯვა გააკეთა“). 5. მერალი არ.-თ. (?) merak 'შიში', 'განგაში': მერალი ვალოყვა (14], 5). 'ნუ გეშინია' („შიში არ ქნა“), სი ჰირ მერალი ვა დოყვა (14], 5) 'შენ სრულებით ნუ გეშინია'—(„შენ სრულებით შიში არ ქნა“), merak mo ik'om (17], 47) 'რატომ გეშინია'—(„შიშს რატომ შვრები“). 6. თესლიმი არ.-თ. teslim 'ჩაბარება', 'დანებება': ოკულე ჭორდან-ოლლი ახმეტ-ფაშას თესლიმი დავუ (13], 25) 'შემდეგ ჭორდან-ოლლი ახმეტ-ფაშას დანებდა'—(„დანებება გააკეთა“). 7. აჭი არ.-თ. aff (← عفو) 'პატიება': დოლრუ-ნა თქვიშენი აჭი გოლოდაფ-მა (14], 7) 'სიმართლედ რომ სთქვი, იპიტომ გაპატიებ-ო („პატიებას გიზამ-ო“), 8. შექაეთი არ.-თ. şikâyet (← شكایت) 'საჩივარი'. შექაეთი იქიფს (14], 19) 'იჩივლებს'—(„იჩივლს უკეთებს“), „შექაეთი ვოლოდა მინონ (14], 50) 'უნდა ეუჩივლო'—(„იჩივლი უნდა გავუკეთო“). 9. ვესიეტი არ.-თ. vasiyet (← وصیت) 'ანდერძი': ბერე მუშის ვესიეტი ოლოდუ (13], 30) 'თავის შვილს უანდერძა'—(„ანდერძი გაუკეთა“) 10. დუვა, დუჰა, დუჰა არ.-თ. dua (← دعا) 'ლოცვა': მა ჰამ იერის დუვა გოლოდი (12], 12) 'მე ამ ადგილას შენთვის ვილოცე'—(„ლოცვა ვქენი შენთვის“), ჰემდის დიდი დუა ოლოდუ (14], 103) 'ჰემდი ძალიან დალოცა' („ლოცვა უყო“), 11. ინქარი, ინქარი, ინქაი არ.-თ. inkâr (← انكار) 'უარყოფა': ალიქ ინქარი დოყუ (14], 99) 'ალიმ უარყო'—(„უარყოფა ქნა“←inkâr etti), სითი ვი დო მათი პარე ინქარი (12], 20) 'შენც უარყოფი და მეც უარყოფ (←Sen de inkâr et, ben de inkâr ederim—„შენც უარყოფა ქენი, მეც უარყოფას ვიზამ“). 12. დავა არ.-თ. dava (← دعوا) 'ჩივილი': ვიდა დო დავა ვოლოდა ამუს (14], 3) 'წავიდე და ვუჩივლო ამას—(„იჩივლი ვუყო“). 13. დაცვეთი—არ.-თ. davet 'დაპატიება': მთელის-თი კონალი სქანიშა

დავითი ოლოდ-მა ([4], 90) 'ყველა შენს სახლში დაპატიჟე-ო' — („დაპატიჟება უქენი“). 14. ინადი—არ.-თ. inad (← انعا) 'ჯიუტობა': აშმა მთხაქ ინნადი ყუ ([4], 73) 'მაგრამ თხა გაჯიუტლა'— („თხამ ჯიუტობა ქნა“). 15. დელი—თ. deli 'გიჟი': დელი დივეუ ([3], 27) 'გაგივლა'— („გიჟი გახდა“). 16. კაბული არ.-თ. kabul: კაბული ვარ ბიქომ ([2], 11) 'მე არ მივიღებ'— („ყაბულს არ ვიზამ“). 17. მუჰასარე არ. თ. muhasara 'ალყა', 'ალყის შემორტყმა': მუჰასარე დიყუ ათინა, ვიწე ([3], 5) 'ალყა შემორტყა ათინას, ვიწეს' („ალყა შემორტყმული იქნა“). 18. დიკეთი არ. თ. dikkat 'ყურადღება': დიკეთი დოვი, კუტა დოვი დიკეთი ([6], 169) 'ყურადღება მიაქციე, ცოტა ყურადღება მიაქციე' („ყურადღება ქენი“). 19. იშაყეთი არ.-თ. isaret 'ნიშანი': ე ჭუმაქ მაყუანის კითითე იშაყეთი ოლო-დეწ ([4], 118) 'ამ ძმამ მეორეს თითით ანიშნა' („ნიშანი გაუკეთა“). 20. ჭეთი არ.-თ. feth 'დაპყრობა': სულტან სელიმიქ ლაზისტანი ჭეთი დოყუ ([3], 4). 'სულტან სელიმმა ლაზისტანი დაიპყრო' („დაპყრობა ქნა“). 21. დეჭინე არ.-თ. define 'განძი' და keşf 'აღმოჩენა': არ დეჭინე ქეშჭინა ყვეს ([4], 63) 'ერთი განძი რომ აღმოაჩინეს' („აღმოჩენა ქნეს“). 22. სარხოში სპ.-თ. serhoş 'მთვრალი', 'ზარხოში': სარხოში დობიგი-დო ([3], 70) 'დავთვერი და...' („მთვრალი გახდა“ ← serhoş oldum). 23. საპრი არ.-თ. şabir 'მოთმინება': ოკულე საპრი ვი ([6], 91) 'შემდეგ მოითმინე' („მოთმინება ქენი“), 24. ქეიჭი არ.—თ. keyf ქეიჭი იქომან ([2], 11) 'ქეიფობენ' („ქეიფს აკეთებენ“). 25. ესკი თ. eski 'ძველი': დემირი ესკი დივეუ ([5], 109) 'სახნისი დაძველდა' („სახნისი ძველი შეიქნა“). 25. მუხარებე არ.-თ. muharebe 'ომი': სუმ თუთა ქოროხი ქინარი მუხარებე დოჯეს ([3], 73) 'სამ თვეს ქოროხის ნაპირას იომეს' („ომი ქნეს“). 26. ლაჭი სპ.-თ. lâf 'სიტყვა': ბოშინე ლაჭი მო იქიფ ([4], 65) 'ტყუილად რად ლაპარაკობ' („ტყუილად ლაპარაკს რად შერები“).

§ 4. რიცხვითი სახელები. ჯერ კიდევ 1929 წ. აღინიშნა, რომ „ქანური ლექსიკა საგნო თურქული სიტყვებით. დღეების, თვეების, რიცხვთა (რიგითი) ქანური სახელები საძებარი გამხდარა“ ([4], VII), სამწუხაროდ, მეტის თქმაც შეიძლება—ლექსიკაში ჩვენ გვაქვს არა მარტო თურქული რიგითი რიცხვითი სახელები, არამედ რაოდენობითიც: 1. ელი თ. elli '50': ელი ქრუში ქომეჩი ([1], 84), 'მიეცი 50 ყურუში' 2. ეთმიშ-იქი—თ. yetmiş iki 'სამოცდათორმეტი': იეთმიშ-იქი დამარი ([3], 69) '72 ძარღვი'. 3. ხარუმ თ. yarım 'ნახევარი'- ხოფური ნოლაშენ ხარუმ საათი აქოლე ([3], 4), 'ხოფის ბაზრიდან ნახევარი საათის მანძილს აქეთ'. 4. ჩიფთი სპ.-თ. çift 'წყვილი': ქეკოფუ ჟურ ჩიფთი ხოჯი ([5], 43) 'იყიდა ორი უღელი ხარი'. 5. ბეშლული თ. beşlik 'ხუთიანი', 'ხუთეული': სი სალი ტა, მა ვარ მინონ ბეშლული ([2], 18) 'შენ კარგად იყავი (და) მე არ მინდა ხუთიანი' (5 ლირიანი ოქროს ფული).

§ 5. დროის განმსაზღვრელი სიტყვები. ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ დღეებისა და თვეების სახელებიც ლაზურში თურქულია. საერთოდ, ეროვნული ლექსიკის ეს დარგი თითქოს ნაკლებ ზიანდება ხოლმე ენაში, მაგრამ მთლიანად თურქთა გარემოცვაში მოქცეულმა ლაზურმა მეტყველებამ თურქულის მძლავრი ზემოქმედებით ასეთი სიტყვებიც დაკარგა. 1. ჩურულაჲ || ჩურულ აჲ თ. çürük 'დამპალი', თ. ay 'თვე', ჩურულაჲ çürük ay 'ივლისი', 2. ქაერუზაჲ || ქირეზ აჲ ბერძ.-თ. kiraz 'ბალი', თ. ay 'თვე' „ბლის თვე“ 'ივნისი'. 3. აღუსტოზი თ. ağustos 'აგვის-

ტო'. 4. ეველგაუზ არ.-თ. evvel 'პირველი', გეუზ, თ. güz 'შემოდგომა', evvel-güz 'პირველი შემოდგომა', — 'სექტემბერი'. 5. ორთაგაუზ || ორთასთველი თ. orta 'შუა', გეუზ თ. güz 'შემოდგომა'; ორთაგაუზი 'შუა შემოდგომა', 'ოქტომბერი'. 6. ახირგაუზი || სოლუნსთველი არ.-თ. ahir, თ. soğun 'ბოლო', 'უკანასკნელი; ახირგაუზ ahirgüz 'ბოლო შემოდგომა', 'ნოემბერი'. 7. კარაკიში || კაკიში თ. kara 'შავი', kış 'ზამთარი'; karakış „შავი ზამთარი“, 'ზამთრის სუსხიანი დრო': კარაკიშიში ეჩლოჩხოვროს ([4], 96) (ზოგან) 'დეკემბრის 29'. 8. კუშლულით. kuşluk 'დილასა და შუადღეს შორის დრო', 'გვიანი დილა': კუშანი კუშლულიშა ნა ბჟოფარე, სი მოგილარე ([1], 86) 'ხვალ „კუშლულამდე“ რასაც დავიჭერ, შენ მოგიტან'. 9. არასირა თ. arasira 'დროდადრო': არასირა გომიშინი ([2], 20) 'დროდადრო გამიხსენე'. 10. ჰაფთა სპ.-თ. hafta 'კვირეული': არ ჰაფთაშე ([3], 28) 'ერთ კვირაში'. 11. ჩერშემზე სპ.-თ. çarşamba 'ოთხშაბათი'. 12. ფერჩემზე სპ.-თ. perşembe 'ხუთშაბათი'. 13. ახჩამი, აქშამი, აქშამ თ. akşam: ხოჯა ახჩამის ოხოიშა იშიტუ ([4], 8) 'ხოჯა სალამოს სახლში ადიოდა', ახჩამდა ხაზიანი ჭომოხთუ ([6], 67) 'სალამოს სახლის პატრონი მოვიდა'. 14. აქშამ-უსტი თ. akşam üstü 'სალამო ეამს': აქშამ-უსტი კონკრეტულ მისწევს ([1], 89) 'სალამო ეამს მეზობლებმა მითხრეს'. 15. ახჩამიშა-კადარ. თ. akşam—არ. თანდებული kadar = -მდე': akşama kadar 'სალამომდე'.

§ 6. ზედსართაეები. I. ჩეთინი თ. çetin 'ძნელი': ემ დღას-თი დერსეფე მცოქა ჩეთინი ტუ. ([4], 10) 'იმ დღესაც გაკვეთილები ცოტა ძნელი იყო'. 2. უჯუზი. თ. ucuz 'იაფი': დიკა უჯუზი იყვენ ([4], II) 'დიკა იაფი იქნება'. 3. კოჯა. თ. koca 'ვეებერთელა', 'უზარმაზარი': კოჯა ააზის ნუ იქიფტიო? 'ვეებერთელა ზაფხულში რას შერებოდიო'. 4. აჯი თ. açi 'მწარე'. 5. ალჩალი თ. alçak 'დაბალი', 'მდაბალი': ([1], 11). 6. დერინი თ. derin ღრმა': დღის დერინი ლეტა დონთხორუ ([5], 32) 'ტყეში ღრმად ამოთხარა მიწა'. 7. ეშილ თ. yeşil 'მწვანე': ეშილ ბუტკაფე ([6], 87), 'მწვანე ფოთლები. 8. ესკი თ. eski 'ძველი': ([1], 93) ესკი ქარერი ქუალეფე 'ძველი წარწერებიანი ქვები'. 9. თაზე სპ.-თ. taze 'ახალი', 'ნელლი': თაზე კეტი ([6], 141) 'ნელლი ჯოხი'. 10. თოფალი თ. topal 'კოჭლი': თოფალ გურუნის ქოგეხედუ ([6], 122) 'კოჭლ ვირზე დავდა'. 11. ზენგინი თ. zengin 'მდიდარი'. 12. ქაორი თ. kır 'ბრმა': იმამი თოლი ქაორი ([6], 69) 'ბრმა თვალისანი იმამი'. 13. ეუქსელი თ. yüksek 'მაღალი': ეკო ეუქსელი ქვა ტუ ([4], 91) 'ისეთი მაღალი ქვა იყო'. 14. აქინი თ. yakın 'ახლო'. 15. კოლაჲ თ. kolay 'ადვილი': კოლაჲ ენ ([4], 2) 'ადვილია'. 16. ენი თ. yeni 'ახალი': ენი იილიში ვითის ([4], 100) 'ახალი წლის ათს'. 17. ბითუნ, ბითუმ თ. bitün 'სულ', 'მთელი', 'მთლიანად': ბითუნ ლაზური ბლაჭათ ([1], 116) სულ ლაზურად ვილაპარაკოთ' (მდრ. ქ. ბითუმ-ი „ვაჭრობა ბითუმად“). 18. ეფეი || ჰეფეი თ. ინტენსივის ზედსართაეი eyi 'კარგი', epeyi 'ძალიან კარგი', სემანტიკური გადახრით 'საკმაოდ კარგი', 'გვარიანი', 'გვარიანად': ხოჯაქ ჰეფეი ვახთის... ([4], III) 'ხოჯამ საკმაოდ კარგახანს...' 19. ბელლი თ. belli 'ნათელი': ჰია ბელლი ვარენ ([5], 31) 'ის ნათელი არ არის'. 20. ბაშკა თ. başka 'სხვა': არ ჩქვარ ბაშკა კოჩიქ ([2], 12) 'ერთმა სულ სხვა კაცმა'. 21. ბოში თ. boş 'ცარიელი': ხე ბოში ([4], 47), 'ხელცარიელი'. 22. გუზელი თ. güzel 'ლამაზი', 'კარგი': დუნია გუზელი ([2], 10) 'მზეთუნახავი'. 23. ალა თ. ala 'ჭრელი': tölöpé ala gıyın ([7], 129). 'ჭრელი გაქვს თვალები'. 24. დოღრუ თ. doğru 'მართალი': დოღრუ ა ვო-

რსი კოჩი (1), 85) 'ერთი მართალი და კარგი კაცი'. 25. საი || სარი თ. sarı 'ყვითელი': მაქვალი გალენ ქჩე რენ! გუი საი ულენ (15), 5) 'კვერცხი გარედან თეთრია, გული ყვითელი აქვს'.

§ 7. წარმოქმნილი ზედსართავეები: 1. ძალი თ. yağ 'ქონი', 'ცხიმი', 'ერბო' + -li აფიქსი, yağlı 'ქონიანი', 'მსუქანი'. 2. ფახალი არ.-თ. baha || paha 'ფასი', პლუს აფიქსი -li, pahalı 'ძვირი'. 3. ჯანლი სპ.-თ. c: n 'სული' + -li სულიერი', 'ცოცხალი'. 4. დელიკანლი თ. deli 'გიჟი', თ. kan 'სისხლი', delikanlı 'გეისისხლიანი', 'ახალგაზრდა', 'ყმაწვილი'. ([1], 82). 5. თერბიელი არ.-თ. terbiye 'აღზრდა' + -li terbiyeli 'აღზრდილი', 'წესიერი': თერბიელი, ჩალიშქანი ტუ ([4], 78) 'წესიერი, ბეჯითი იყო'. 6. თერბიესუზი არ.-თ- terbiye 'აღზრდა' + —siz—terbiyesiz 'უწესო': თერბიესუზი პატი ბერეფეკალა ([4], 52) 'უწესო, ცუდ ბიჭებთან'. 7. აქილლი არ.-თ. akıl 'კეკუა' + -li—akıllı 'კეკიანი'. 8. ხათირლი არ.-თ. hatır 'ხათრი' + -li—hatırlı 'ხათრიანი', 9. დიკკეთლი არ.-თ. dikkat 'ყურადღება' + li—dikkatli 'ყურადღებიანი'. 10. ზიჰინლი არ. თ. zihin 'გონება', 'გაგება' + -li—zihinli 'გაგებული', 'გონიერი': ხოჯა ჩქუნი დიდო ზიჰინლი კოჩი რენ ([3], 55) 'ჩვენი მასწავლებელი ძალიან გაგებული კაცია'.

განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს თურქული სიტყვისაგან ლაზური აფიქსით ზედსართავის წარმოქმნა: თ. ses ხმა, უ—ელ ლაზური უქონლობის აღმნიშვნელი პრეფიქს-სუფიქსით წარმოქმნილია უ-სეს-ელ-ი 'უხმო' (მდრ. საპირისპირო მოვლენა: ჩხომიჯი, 'მეთევზე' + თ.-ei აფიქსი ([5], 11). უსესელი ეკვივალენტია თურქული ზედსართავისა sessiz, სადაც ses 'ხმა' + siz აფიქსი = უ—ელ პრეფიქს-სუფიქსს: მთუთი უსესელი მეხთუ მამუდიშა ([4], 43) 'დათვი უხმოდ მივიდა მაჰმუდთან' (თურქული ზედსართავსა და ზმნისართს მორფოლოგიურად არ ასხვავებს; ლაზურიც ამას მისდევს).

აღსანიშნავია აგრეთვე ზედსართავეებიც: ნამუსლი არ.-თ. namus 'პატიოსნება' + -li—namuslu 'პატიოსანი'. 2. ნამუსსუზი namus 'ნამუსი' + -suz namus-suz 'უნამუსო'. 3. ფალი სპ.-თ. pak 'სუფთა': კაი ფალი დერიშენ წკაი თირით ([4], 30) 'კარგი სუფთა ადგილიდან წყალი მოიტანეთ'. 4. ფუკარა არ.-თ. fukara 'ღარიბი': ფუკარა კოჩი დენ ([4], 6) 'ღარიბი კაცია'. 5. ზეკი არ.-თ. zeki 'ნიკიერი': დიდო ზეკი რენ ([3], 55) 'ძალიან ნიკიერია'.

§ 8. ნათესაურ ურთიერთობათა აღმნიშვნელი სიტყვები. თურქულიდან ნასესხებია აგრეთვე შედარებით მცირე რაოდენობის ნათესაობის აღმნიშვნელი ლექსიკა: 1. კებლე არ.-თ. kabile 'ტომი' არ კებლეშე ბორეთ ([5], 71) 'ერთი ტომიდან ვართ'. 2. ემიჯე არ.-თ. amca 'ბიძა' (მამის ხაზით): ემიჯე შქიმიში ბერე ([1], 96) 'ჩემი ბიძის შვილი'. 3. კაინი თ. kayın 'ცოლის ძმა': ჩილიში ჯუმა—კაინი ([5], 1), ცოლის ძმა—კაინია'. 4. დაჰ თ. dayı 'ბიძა' (დედის ხაზით): ნანაში ჯუმას დაჰ ვუწოლემთ ([5], 101). 5. ხალა არ.-თ, hala 'მამიდა': ბაბაში და ხალა რენ ([5], 101). 6. ბაბალული თ. babalık 'მამობილი'. 7. ოვეანა თ. üveyana ← ügeyana 'დედინაცვალი': ეს სიტყვა გვხვდება აგრეთვე ოვენანა-ს სახითაც. თ. დიალექტ. üge ამ მნიშვნელობით ლაზურში იხმარება აგრეთვე შესიტყვებაში ოვებერე (← üveyođlan 'ვაჟი გერი'). 8. ხისიმი თ. hisim 'ნათესავი': ბელქი დობივათენ...ხისიმი ([1], 111) 'შეიძლება ნათესავები ვიქნეთ'. 9. სოჰ თ. soy 'გვარი', 'ჩინი': ხუთ შილჰა ნუფუსი, ხემშელი სოჰ ([1], 110) 'ხუთი ათასი კაცი ხემშინთა გვარისა'.

10. ენიშთელული თ. enişte 'სიძე', eniştelik 'სიძეობა': სუმ წანა რენ, ენიშთელული ბიქომ ([6], 64) 'სამი წელიწადია სიძეობას ვეწევი'.

§ 9. გემო-კვების საგნები, კულინარია. 1. ჩორბა თ. çorba 'სუპი', 'წვენი': ციქა ჩორბა მომბილი ([1], 122) 'ცოტა სუპი მომბიტანე'. 2. შერები არ.-თ. شراب 'წვენი', 'მაშარაბი': შერებითე საღანის გედუმან...ლოკმა ელუსუმან დო იმხორან ([3], 87) 'მაშარაბით საინზე დადებენ და ლუკმას ამოუსვამენ და ჰამენ'. 3. კაიმაქლი თ. kaymak 'ნალები' + თ.-li (li = ქართ.-იან); ([4], 141). 4. კაიმალი თ. kaymak 'ნალები': აოლუთი დო კაიმალი ქუკათეფან ([4], 142) 'მაწონსა და ნალებს შეურევენ'; 5. აოლუთი თ. yoğurt 'მაწონი'. 6. კაეურმა, კაურმა თ. kavurma 'მოხრაკული ხორცი': არ წუკალი კაეურმა ([6], 59) 'ერთი ქვაბი ყაურმა'. 7. დოლმა თ. dolma 'ტოლმა': ქოთუმეში დოლმა ([4], 140) ფატიჯანიშ დოლმა (იქვე) 'ქათმის ტოლმა', 'ბადრიჯნის ტოლმა'. 8. ბურელი, ბუელი თ. bürrek 'ტკბილი ცომეული'; ბურელი ქობკომათ ([4], 133) 'ნამცხვარი შევჭამოთ'. 9. ბურღული თ. bulgur 'ბურღული', 10 სარმა თ. sarma 'ტოლმა': ხორციანი სარმას დოღრუ სარმა ვუწუმეთ ([4], 141) 'ხორციან სარმას ნამდვილ სარმას ვეტყვით'. 11. აალი თ. yağ 'ცხიმი', 'ქონი', 'ზეთი', აქედანვე ააღსუზი yağsız 'უცხიმო'; ააღლი თ. yağlı 'ცხიმიანი'. 12. კაურმიში თ. kavurmuş 'მოხალული': თხირი კაურმიში ([6], 41) 'მოხალული თხილი'. 13. სარი აალი თ. sarıyağ 'ყვითელი ცხიმი', 'ერბო': ჰაშო სარი აალი სო ძირომთ ([5], 50) 'ასეთ ერბოს საღ ნახათ...' 14. აახნი სპ.-თ, yahni 'ხორციანი შექამანდი ხახვით'; ([3], 75). 15. მაკარინა იტ.-თ. მაკარონი'. 16. ბაკლავა თ. baklava 'ნამცხვარი თაფლისა და ნუშისაგან'. 17. კაჰვე, კავე არ.-თ. kahve 'ყავა', აგრეთვე 'ყავახანა', 'კაფე'. 18. ხოშაფ სპ.-თ. hoşaf 'კომპოტი'. 19. პეტმეზი თ. pekmez 'გასქელებამდე დაღულებული ხილის ან ყურძნის წვენი': ქურკი ბაქიროში რენ—პეტმეზი ოგიბუშენი ([4], 151) 'ბაქმაზის მოსადღულებელი ქვაბი სპილენძისა'. 20. შექერი-ლუკუმი სპ.-თ. şekerlokum 'შაქარლამა'. 21. შექელემე, შექერლემე სპ.-თ. şekerleme 'ჩაშაქრებული ხილი': ([6], 41). 22. შექერი სპ.-თ şeker 'შაქარი'. 23. შერაბი არ.-თ. şarap 'ღვინო': ძვეში ხრისტიანეფეში შერაბიში ოჰინახუ რენ ([3], 28), 'ძველი ქრისტიანების ღვინის საწნახელია'. 24. რაქი არ.-თ. rakı 'არაყი': არ რაქი შარაბი ქომოალი ([3], 58) 'ერთი არაყი, ღვინო მოიტანე'. 25. ტრუში, ტურში თ. turşu 'მწნილი': სოტოლიაში ტურში ვიქიდთ ([4], 140) 'წითელი მხლისას მწნილს ვაკეთებთ' 26. კაფლამა თ. kaplama 'ტოლმისებური შექამანდი'. 27. საბაჰკაფალთისი არ.-თ. sabah 'დილა', kahve 'ყავა', alt-ısı 'რისამე ქვემო ნაწილი', sabah kahvaltısı 'დილის საუზმე', 28. მეზე სპ.-თ. meze 'საუზმე' (მაგარ სასმელებთან): მეზეში ოგორუს ქოგაოკყაფან ([3], 10) 'საუზმის ძებნას დაიწყებენ'. 29. ხამური არ.-თ. hamur 'ცომი', 'საფუარი': ([5], 26). 30. აშვი თ. aş 'საქმელი' + -cı აფიქსი aşçı 'მზარეული': გააი-ნა იქიდს აშვი ენ ([4], 124) 'საქმელს რომ აკეთებს, მზარეულია'. 31. აშვი-ხანე სპ.-თ. აშვი 'მზარეული' ხანე სპ. 'სახლი', აშვი-ხანე 'სასადილო' ([4], 124). 32. კავეცი არ.-თ. kahveci 'მეყავე', 'ყავახანის პატრონი'. 33. ფილავი სპ.-თ. pilav: ([5], 63). 34. სუთლი თ. sütün 'ბრინჯისა და რძისგან გაკეთებული საქმელი': ([5], 63). 35. თუთუნი თ. tütün 'თამბაქო' ([2], 9). 36. ძიგარა, ძიგაა იტ.-თ, cigara 'პაპიროსი' არ ძიგარა ქობშეა ოხორჯაში მოხთიბუშა ([4], 16) 'ერთი პაპიროსი მოვწიო ცოლის მოსვლამდე'!

§ 10. ფაუნა. 1. აკრები არ.-თ. akrep 'მორიელი': ([4], 112). 2. მარი სპ.-თ. mar 'ვეელი': ბაზი ჩოლი იერეფეს ქოდოღ ოხედუნ მარი ([3], 69) 'ზოგ უდაბნო ადგილებში ბაყაყი ჩნდება', 3. კაბუკლი კურბალა თ. kabuklu 'ბაკანიანი', kurbağa 'ბაყაყი', 'კუ': ([4], 55). 4. მისირ-ტაული თ. mısırtavuşu 'ინდაური': ([5], 46). 5. თაი, თაჟ თ. tay 'კვიცი': ([4], 91). 6. ეშელი, ეშშელი თ. eşek 'ვირი'. 7. აჟვანი არ.-თ. hayvan 'ცხოველი': ცხენეფე, კვინჩეფე, აივანეფე ([4], 81) 'ცხენები, სკვინჩები, ცხოველები'. 8. ათმაჯა თ. atmaca 'ქორი'. ემ ვახთის არ ათმაჯაქ-თი ავი გორუბტუ ([4], 68) 'იმ დროს ერთი ქორიც ნადირს ეძებდა'. 9. შაჰინი თ. şahin 'შეუარღენი': ([3], 17). 10. კარა-ქეჩი თ. kara keçi 'შავი თხა'-'ჩიხვი': კარა-ქეჩი-მტკური თხა—'ველური თხა' ([5], 165). 11. კუზი თ. kuzu 'ბატკანი': ([1], 102). 12. კატირი თ. katır 'ჯორი': კატირეფე მუში დალიშა მინდიყონუ ([4], 57) 'თავისი ჯორები ტყეში წაიყვანა'. 13. კოჟნი თ. koyun 'ცხვარი' ფუჯი, კოინი ნოკვათუ ([5], 39) 'ძროხა, ცხვარი დაკლა' 14. შიშეჟი თ. şişek 'ერთი წლის ბატკანი': მჩხუთიში არ წანეის შიშეჟი უწუმელან ([4], 166) 'ცხვრის ერთი წლის ბატკანს შიშეჟს ეტყვიან'. 15. ზერდავა. ზერდევა თ. zerdeva 'კვერნა': ([1], 88). 16. თილქი თ. tilki 'მელია': ზერდევა, ჯოლორი დო თილქი ([4], 68) 'კვერნა, ძაღლი და მელია', 17. ირხი თ. ilki 'ტხენის ჯოგი' ([4], 91). 18. კართალი თ. kartal 'არწივი': ნიკოლაიში ფარას ტუ კართალიში რესმი ([4], 154) 'ნიკოლოზის ფულზე იყო არწივის სურათი'. 19. კარლა თ. karga 'ყვავი': ([5], 12). 20. ტავშანი თ. tavşan 'კურდღელი': ([4], 68). 21. კაფლანი თ. kaplan 'ვეფხვი': ([6], 40). 22. ასლან თ. aslan 'ლომი'. 23. კაზ თ. kaz 'ბატი': ([1], 111). 24. ბულბული სპ.-თ. bülbül 'ბულბულია' ([3], 53). 25. ბულდუჯინი თ. bildiren 'მწყერი': ბულდუჯინისტიე ენ ([4], 154) 'მწყერივითაა'. 26. ფილიქი თ. piliç წიწილა: ([4], 43). 27. ჯამუში არ.-თ. çamus, 'კამეჩი': ([4], 153) 28. დომუზი თ. domuz 'ლორი': ([1], 112). 29. ორდე-ლი თ. ördek 'იხვი': ([4], 153). 30. ოღლაკი თ. oğlak 'თიკანი': ([4], 166). 31. აჟერი თ. yavru 'ბარტყი': ([2], 20) 32. ფორცული თ. porsuk 'მაჩვი': ფორცულიში ჯოხო ვამიჩქიტეს ([4], 98), 'მაჩვის სახელი არ ვიცოდით'. 33. ფილი სპ.-თ. fil 'სპილო': ([3], 18). 34. ალაბალული თ. alabalık „ჭრელი თევზი“ = 'კალმახი': ჰიმ ვაკიტის ზულას ალაბალული იენ: ([1], 90), 'იმ დროს ზღვაში კალმახი არის ხოლმე'.

§ 11. სხეულის ნაწილები, ფიზიკური ნაკლოვანებანი 1. გონქსი, გონკსი, გჟონქსი თ გრგჟს 'მეკრდი': ([3], 51). 2. ჩენგე თ. çene ნიკაპი (სალირუნის რეფლექსია სალიტერატუროში n, დიალექტებში კი ng): აჟა ჩენგე ენ ([4], 159), 'ეს ნიკაპია'. 3. გრვდე თ. grvde 'სხეული', 'გვამი': გოვდე მუში ლეტა დივეუ ([2], 12) 'მისი სხეული მიწად იქცა'. 4. გრზ თ. gröz 'თვალი': ([2], 19). 5. კაბურღა თ kaburga 'ნეკნი': ([3], 49). 6. აუჯი თ. avuç 'პეშვი': არ ხეშა (აუჯი) მჭითა ალთუნი ქომეჩუ დო იგზალუ ([3], 72) 'ერთი პეშვი წითელი ოქრო მისცა და წაიდა'. 7. დამარ თ. damar 'ძარღვი': ([7], 87), 8. ტაბანი თ. taban 'ტერფი', 'ფეხისგული': ([5], 4). 9. კამბური თ. kambur 'კუზი': კამბური (მონდრიკინერი) ორტუ ([3], 86) 'კუზი ჰქონდა' (მოდრეკილი იყო). 10. ბუჟელი თ. büyük 'ულვაში': ([1], 102). 11. ბაში თ. baş 'თავი': რეიზიქ ჭელუკაში ბაშიშენ ბითთუნ ზოდას ოწყეს ([4], 157) 'კაპიტანი ფელუკის თავიდან სულ ზღვას უყურებს'. 12. ბელი თ. bel 'წელი': ([6], 165). 13. ქაოი, ქაორო თ. kör 'ბრმა'

არ თოლიშენ ქაოი დიყუ ([4], 102), 'ერთი თვალით დაბრმავდა'. 14. ბენგი თ. ben 'ხალი': ([6], 79). 15. თოფალი თ. topal 'კოკლი'.

§ 12. ნაგებობანი, სამშენებლო მასალა, ხელსაწყოები. 1. დემირი თ. demir 'რკინა': ([3], 17). 2. მუსლული თ. musluk 'ონკანი': პიჯი-ნა ვიბონთ მუსლულეფეთი? ([4], 123), 'პირს რომ ვიბანთ ონკანებით'? 3. მუთფალი არ.-თ. mutfak 'სამზარეულო': გაიი ნა ვიბუფან—მუთფალი რენ ([6], 124), 'საკმელს რომ ამზადებენ—სამზარეულოა'. 4. მერდევენი სპ.-თ. merdiveu 'კიბე': მაეუანი კათის მერდევენიში სალის ჩეჩმე ენ ([4] 124) 'მეორე სართულზე, კიბის მარჯვნივ საპირფარეულოა'. 5. კათი თ. kat 'სართული': მაეუანი კათის (იქვე) 'მეორე სართულზე'. 6. თაქან, ლუქანი არ.-თ. dükân 'ლუქანი'. 7. თავანი თ. tavan 'სხვენი', 'ჭერი' ([4], 145). 8. კერემინდი ბერძ.-თ. kiremit 'კრამიტი': ([2], 12). 9. კერემინტხანა ბერძ.-სპ.-თ. keremithane 'კრამიტის ქარხანა': ([2], 12). 10. ჩეშმეხანე სპ.-თ. çeşmehane 'პირსაბანი': პიჯი ობონუში აერის ჩეშმეხანე უწუმელან: ([4], 123), 'პირის დასაბან ადგილს ჩეშმეხანეს ეტყვიან': 11. ჩამაშურ-ხანე თ.-სპ. çamaşır 'თეთრეული', hane სპ. 'ს-ხლი' çamaşırhane 'სამრეცხაო': ემუს ჩამაშურხანე უწუმელან: ([4], 124) 'ამას სამრეცხაოს ეტყვიან'. 12. ხაფისხანა არ.-თ. hapishane 'საპატიმრო': ([4], 17). 13. ზინდანი სპ.-თ. zindan 'საპატიმრო': ([2], 18). 14. აემლული თ. yemlik 'საქონლისთვის საკვების ჩასაყრელი ადგილი': ([6], 63). 15. ყურდი თ. yurt 'სახლი': ბაბა მუშიში მალი დო იურდი'. ([6], 104) 'მამამისის ქონება და სახლკარი'. 16. ტიმარხანა სპ.-თ. timarhane 'ფსიქიატრიული საავადმყოფო': ([5], 41). 17. კაფესი არ.-თ. kafes 'გაღია', 'მოაჯირი': დემირიში კაფესი ([6], 151) 'რკინის მოაჯირი'. 18. კიშლა თ. kışla 'საზამთრო საცხოვრებელი', 'ყაზარმა': ეზრუმის კიშლას მოლახუნერი: ([6], 158) 'არზრუმის ყაზარმაში ჩამჯდარი'. 19. კალე არ.-თ. kale 'ციხე', 'ციხე-სიმაგრე': თეფე აილაშა დორთ აანი კალე: ([1], 100), 'თეფე აილა-სკენ ოთხივე მხრივ ციხეა'. 20. დირელი თ. direk 'სვეტი'. 'ბოძი': ჩემი კუდელი ცაში დირელი რენ. ([3], 19) 'ჩემი კუდი ცის ბოძია'. 21. კონალი თ. konak 'დიდი სახლი', 'სასახლე': დიდი კონალეფე რენ: ([3] 57) 'დიდი სახლებია'. 22. ბაჯა თ. bace 'საკვამლე მილი': ოხოიში...ენ ბაჯა იძირენ: ([4], 148) 'სახლის...ზემოთ საკვამლე ჩანს'. 23. ათაჯ-ხანე სპ.-თ. yatak 'საწოლი', სპ. hane 'სახლი'—yatakthane 'საერთო საცხოვრებელი': ია მუელიმეფეში იათაჯ-ხანე ენ: ([4], 124), 'ის მასწავლებლების საერთო საცხოვრებელია'. 24. ფენჯერე სპ.-თ. pencere 'ფანჯარა': ([2], 16). 25. დუვარი სპ.-თ. duvar 'კედელი': თუდენი დუვარი ([1], 127) 'ქვემო კედელი'. 26. დუშემე თ. düşeme 'იატაკი': ([4], 125). 27. კრუშე სპ.-თ. kışe 'კუთხე': ([3], 6). 28. ბორუ თ. boru 'მილი': თავანის სობაში ბორუშენი გამაკვათერი ტუ ([6], 41) 'ჭერი ლუმელის მილისთვის გამოკრილი იყო'. 29. სობა. თ. soba 'ლუმელი': ([6], 91). 30. ქერესთე სპ.-თ. kereste 'სამშენებლო ხე-ტყე', 'ფიცარი': ლუქანიში ქერესთეფე ოში შილდა მანათის ნა-ღირდუ ([6], 107) 'ლუქნის ფიცრები ასი ათას მანეთად რომ ღირდა'. 31. ქოშქი ბერძ.-თ. kışık 'კოშქი': ([3], 59). 32. ოჯალი თ. ocak 'კერა': ([3], 42). 33. ოდა თ. oda 'ოთახი'. ჟურ ათაღ-ნა დირჩენ, ოდა დემიხაზირი: ([1], 85) 'ორს ლოგინი რომ გაიშლება ისეთი ოთახი მომიმზადე'. 34. ოჯახლული თ. ocaklık 'კერა': ([5], 3). 35. ოთელი ფრ.-თ. hotel 'სასტუმრო': ჰეკ არ დიდი ოთელი რენ ([5], 29) 'იქ ერთი დიდი სასტუმროა'. 36. თულულა ლათ.-თ. tu-

ğla 'აგური': სუმი დო ოთხი ოდაფე-ნა უღუნან, თულულაში ხენაფერი ([6], 103) 'სამი და ოთხი ოთახი რომ აქეთ, აგურისგანაა გაკეთებული'. 37. სარაი სპ.-თ. saray 'სასახლე': ([3], 15). 38. ამბარი სპ.-თ. ambar 'ბელელი':—([6], 16). 39. მაღაზა არ.-თ. mağaza: ([3], 28).

§ 13. რელიგია. 1. აბდეზი, აბდესი სპ.-თ. abdest→aptest→aptes—'რიტუალური დაბანვა ლოცვის წინ': კიშის აბდეზი ეკოფუმს: ([5], 4) 'ზამთარში აბდესტს აკეთებს'. 2. მუჭტი არ.-თ. müftü, müftü 'მუფთი': ([3], 34). 3. მელედი არ.-თ. melek 'ანგელოსი': ([3], 53). 4. მოლლა არ.-თ. molla 'მოლა': ([4], 13). 5, მეუზინი არ.-თ. müezzin 'მეუზინი': ([4], 10). 6. თანღრი, თრანგი, თანგრი, თანრი თ. tanrı 'ღმერთი'. 7. შეფათანი, შეფტანი არ.-თ. şeytan 'ეშმაკი': შეფათანი-ნა ტუ-შენი ([3], 15) 'ეშმაკი რომ იყო (იმისათვის)'. 8. კურბანი არ.-თ. kurban 'მსხვერპლი': ქრძეს კურბანი პარე ([3], 40) 'სოფელში მსხვერპლს შევსწირავ'. 9. კამეთი არ.-თ. kıyamet 'მეორედ მოსვლა': ([3], 45). 10. კადი, ყადი, არ.-თ. kadı: არ კადი, არ მუჭტი დო არ კამეკამ არ ოხორჯას დაორთფებდორტენ ([7], 107) 'ყადის,მუფთის და კამეკამს შეყვარებოდათ ერთი ქალი'. 11. პაპაზი ბერძ.-თ. papaz 'მღვდელი': ([4], 28). 12. ხიზირი არ. თ. hızır 'ილია წინასწარმეტყველი': ([7], 18). 13. ჰაზეთი ალი არ.-თ. hazret-i Ali 'წმინდა ალი': ([6], 26). 14. მუსლიმანი არ.-სპ.-თ. müslüman 'მუსლიმანი': აქონი მეგრელეფე ჭიტა ჭიტა მუსლიმანი დიყვერენ ([3], 4) 'აქაური მეგრელები ცოტ-ცოტათი მუსლიმები გამხდარან'. 15. დერვიში სპ.-თ. derviş 'მოხეტიალე მუსლიმი ბერი': ([3], 13). 16. დუა არ.-თ. dua 'ლოცვა': დუაფემ ოკითხუს ქოგოკუე ([7], 41) 'ლოცვების კითხვა დააწყო'. 17. ველია არ.-თ. evliya 'წმინდანი': ე ქომოლი! ანდლა არ ველია ქომობტუ ([5], 13) 'ეი' ქმარო, დღეს ერთი წმინდანი მოვიდა'. 18. ეზანი არ.-თ. ezan 'ეზანი': ([3], 4). 19. ელაჰ ექვერ არ.-თ. allah ekber 'დიდ არს ალაჰი' (ეზანის პირველი ორი სიტყვა): ([6], 163). 20. ევალა არ.-თ. eyvallah 'მადლობა', 'მშვიდობით': ([1], 81). 21. მინარე არ.-თ. minare 'მინარეთი' ar ndyas imamik minareşen izan ikit'xumtuşkule ([7], 65) 'ერთ დღეს, მას შემდეგ, რაც იმამმა მინარეთიდან ეზანი წაიკითხა'. 22. კიბლე არ.-თ. kible 'ის მხარე, რომლისკენაც პირს იზამს ხოლმე მუსლიმი ლოცვის დროს'; კიბლეკლე ოწყედლე ([4], 305) 'ყბლისკენ იყურებოდა'. 23. მუსაფი არ.-თ. mushaf 'ყურანი', 'წმინდა წიგნი': ([6], 23). 24. დინი არ.-თ. din 'სარწმუნოება' (შდრ. ქ. ღვინი): ([6], 26). 25. დინი-იმანი არ.-თ. din-iman 'რწული და რწმენა': ([1], 20). 26. ინშალა არ.-თ. inşallah 'თუ ალაჰს ნებაეს', 'ალლაჰმა ქნას': ([1], 111). 27. ბერეკეთი არ.-თ. bereket ბარაქა' ხვა-ვი': ([3], 74). 28. ბედუა სპ.-არ.-თ. beddua 'წყევლა': მან-მა ნანა ჩქიმიქ-მა ბედუა მოლოდუეა ([4], 10) 'მეო დედა-ჩემმა დამწყევლო'. 29. დუვაჯი არ.-თ. duacı 'მოლოცელი': ([3], 53). 30. ფალამბერე, ფელამბერი სპ.-თ. peygamber 'წინასწარმეტყველი': ([6], 23). 31. ნამაზი სპ.-თ. namaz 'ნამაზი': ([3], 43). 32. ჯენნეთი არ.-თ. cennet 'სამოთხე': ([3], 43) 33. ჯეჰენემი არ.-თ. cehennem 'ჯოჯოხეთი': ([3], 68). 34. ჯინაზე არ.-თ. cenaze 'მიცვალებული', 'ცხედარი', 'გასვენება': ([3], 47). 35. გუნახი, გაუნახი სპ.-თ. günah 'ცოდვა': ([3], 8). 36. საბახ-ნამაზი არ.-სპ.-თ. sabah namazi 'დილის ნამაზი': ([3], 30). 37. სიჯადე არ.-თ. seccade 'პატარა ხალიჩა, რომელზედაც დაჩოქვით ლოცულობს მუსლიმი': ([3], 59). 38. ჭეჩინი k'efini არ.-თ. kefin || kefen 'სუღარა': დობლური-

ნა, ვარ-თი მიღუნ ჭეჭინი; ([3], 40) 'რომ მოვეკდე სულარაც არა მაქვს'. 39. ბისმილა არ.-თ. bismillah 'სახელითა ალლაჰისათა': ([3], 78). 40. აათისი თ. yatsi 'დრო დაწოლის წინ', yatsi namazi 'ნამაზი ძილის წინ': აათისი ქოდიჯოხეს ([3], 9) 'ლამის ეზანი წაიკითხეს'. 41. yasın მასინი არ.-თ. მასინი 'ყურანის ერთ-ერთი სურა, რომელსაც მიცვალებულს უკითხავენ': ([7], 124) მასინი დიჩოდუმ-კულე მთელი ოხთი მუშიშა იგზალუ ([4], 131) 'იასინი რომ ვათაედა, ყველა თავის სახლში წაიფიდა' 42. გააუი, გააურ სპ.-თ. gâvur 'ურჯულთა', 'გიაური': ([4], 97). 43. ფიტრე არ.-თ. fitre 'მოწყალება, რომელიც რიგდება რამაზანის თვეში: ფიტრეში ფარი მუქო მეფჩათენ?': ([7], 23) ფიტრეს ფული როგორ მივეცეთ'. 44. იქინდი, იქინდი ნამაზი თ. ikindi namazi 'შუალდესა და დამამებას შუა შესრულებული ნამაზი', იქინდიშ ნამაზი: ([4], 164). 45. იმამი არ.-თ. imam 'იმამი', (მუსლიმთა) მოძღვარი': ([6], 41). 46. ეჯელი არ.-თ. ecel 'სიკვდილის ეამი', 'სიკვდილი': ინშალა, არ ქომომიხთან ჩქუნ ეურიში ეჯელი: ([3], 45) 'ღმერთმა ქნას, არ მოგვივიდეს ჩვენ ორს აჯალი!' 47. ეზრაჰილი არ.-თ. azrail 'სიკვდილის ანგელოზი': მა ბორე ქრა-გედვინერი ეზრაჰილი, კოჩი ბოდურინამ ([6], 77) 'მე ვარ რქა-შესხმული აზრაილი, კაცს ვკლავ'. 48. თეკვინი არ.-თ. tekvin 'შესაქმე' (წიგნი ბიბლიისა): ხოჯა ვა რენ, მიქ მიკითხას თეკვინი? ([3], 40) 'ხოჯა რომ არ არის, ვინ წამიკითხოს თეკვინი?'

§ 14. სამოსელი, ქსოვილი, ლოგინი, სამკაული. 1. შილთე, შირთე თ. şilte 'პატარა ლეიბი': არ შილთე დო არ აოლანი ([6], 166). 2. მასთულო, მასტული თ. yastık 'ბალიში': ბუნდლამენ შირთე იყვენ, მასთული იყვენ ([4], 164) 'ბუმბულიდან ლეიბი იქნება, ბალიში იქნება' ([4], 151), ([7], 126). 3. აორლანი, აოლანი, ორლანი თ. yorgan 'საბანი': „ხოჯას“ მა აოლანი მუქო მებუხირათ“—მა ([6], 67) 'ხოჯას საბანი როგორ მოვპაროთო' ([3], 53), ([2], 26), ([6], 166), ([4], 151). 4. ბატანიე თ. (?) „ბაიკის საბანი“: ([4], 151). 5. ქეჭინლული არ.-თ. kefinlik 'სასულდარო ქსოვილი': ([4], 130). 6. ქეჩე თ. keçe 'ქეჩა': ბალიში ქეჩეშე იყვენ ([4], 152) 'თოქალთო ქეჩისაა'. 7. ხალი სპ.-თ. kalı || halı 'ხალი': 'ხალი ხეთოში ლირას ქოგამოჩე ([6], 104) 'ხალიჩა ხეთას ლირად გაყიდა'. 8. დუშელი თ. dşsek 'ლეიბი'. 'მატრატი': ([3], 77). 9. ქილიმი სპ.-თ. kilim 'ფარდაგი': ([3], 60, 27). 10. აუზი თ. yüz 'პირი': იასთულის ვალენდო-ნა მოძინ-აუზი მა პიჯი რენ ([4], 151) 'ბალიშს გარედან რომ აქვს ვადაცმული, ის პირაა'. 11. ქემერი, ქემეი სპ.-თ. kemer 'ქამარი': ([6], 165), ([1], 107). 12. კუშალი თ. kuşak 'სარტყელი': ([4], 148), ([7], 28). 13. კაიში თ. kayış 'ღვედი': ([6], 75), ([5], 10). 14. აელელი თ. yelek 'ტილეტი' ([6], 161), ([7], 127). 15. ჩეკეთი çékét—caket || ceket 'ფიჯაკე': ([4], 150), ([7], 127). 16. ქურქი, ქაურქი თ. kürk 'ქურქი' ([4], 3). 17. იამჩი თ. yamçı 'ნაბადი'; ([4], 29). 18. ააქა თ. yaka 'საყელო': ([4], 150). 19. ფონთოლონი ფრ. თ. pantolon 'შარვალი': ([4], 150). 20. გომლედი თ. gömlek 'პერანგი': ([3], 53). 21. იედონი თ. iğdon 'ქვედასაცვალი': ([4], 123). 22. მენდილი არ. თ. mendil 'მანდილი' 'ცხვირსახოცი': ([3], 21), ([7], 128). 23. ჩარშაფი, ჩარჩაფი სპ.-თ. carşaf 'ზეწარი', 'ჩარშაფი' (მუსლიმი ქალის თავწამოსასხამი): ([4], 151, 83). 24. ფისტანი, ფისტანი ალბანურ თ. fistan 'კაბა': კაი მეგომსქუნ ფისტანი ან-აქალი: ([3], 22) 'კარგად გმეწენის განზე საყელოანი კაბა': ([6], 136), ([1], 107). 25. ააზმა თ. yazma 'თხელი ქსოვილი, რომელზედაც ყვავილებია დახატული', 'ასეთი ქსოვილის მანდილი': ([4], 132), ([1], 106)

([7], 127). 26. კორდელა იტალ.-თ. *kordela* 'ლენტი': ([5], 62). 27. შემსიე არ.-თ. *şemsiye* 'ქოლგა': ([6], 70). 28. შაკა ფრ.-თ. *şapka* 'ქელი', 'შლიაპა': ([1], 108). 29. ფაფალი თ. *papak* 'ფაფახი': ([4], 106). 30. სარული თ. *sarik* 'ჩალმა': ([4], 7). 31. ფესი თ. *fes* 'ფესი': ფესი ვანა პაპახი ვანა შაჯა ([4], 150) ფესი, ან ფაფალი, ან შლიაპა ([3], 29), ([1], 108). 32. კავუხი თ. *kavuk* 'თურქების ძველი თავსაბურავი': ([4], 24). 33. ნალინი არ.-თ. *nalın* 'სანდალი', 'ქოში': ([4], 151). 34. ლასტიკი ფრ.-თ. *lastik* 'რეზინი', 'რეზინის კალოშები': ([3], 52), ([4], 93). 35. ბაბუჯი სპ.-თ. *pabuç* 'უქუსლო ტუფლი', 'ფოსტალი': ([4], 126). 36. ჩიზმე *çizme* თ. *çizme* 'ჩექმა' *mu mogoç in? çizme mçizâ* ([7], 131) 'რა გაცვია (ფეხზე)? წითელი ჩექმა': ([4], 123). 37. ფოთინი, ჭოთინი ფრ.-თ. *potin* 'ფეხსაცმელი': არ ფოთინი ქომომილი ([3], 30) 'ერთი, ფეხსაცმელი მომიტანე': ([1], 104), ([4], 7, 9). 38. მესტი არ.-თ. *mest* 'მესტი': ([7], 128). 39. ფაჯავა თ. *paçavra* 'ჩვარი': ([4], 125). 40. აამა. თ. *çama* 'რამეზე დასაკერი ნაჭერი': ([4], 123) 41. აუნი თ. *yün* 'მატყლი' მჩხეში თომას აუნი, აა მონტკოი ვუწუმელთ: ([4], 150) 'ცხვრის ბეწვს „აუნს“ ან „მონტკოს“ ვეტყვით'. 42. ააფ-ლი თ. *yapak* 'ცხვრის გარეცხილი მატყლი': ([4], 105), ([7] 127). 43. კუმაში თ. *kumaş* 'ქსოვილი': ([1], 112). 44. ბასმა თ. *basma* 'ჩითი': ([3], 52). 45. იფექლი თ. *ipekli* 'აბრეშუმისა', 'აბრეშუმის ქსოვილი': ([6], 93). 46. ბეზი არ.-თ. *bez* 'ტილო', 'ნარმა', 'ჩვარი' ([1], 112): 47. იფექი თ. *ipek* 'აბრეშუმი': ([5], 62). 48. ასტარი თ. *astar* 'სარჩული': ([5], 31). 49. ქაოსტელი თ. *köstek* 'ძეწვეი': ([5], 2). 50. ბილეზული თ. *bilezik* 'ბრასლეტი': ალთუნიში ბილეზული ([5], 72) 'ოქროს ბრასლეტი'. 51. პიშტიმალე სპ.-თ. *peştamal* 'წინსაფარი', 'აბანოს ზეწარი': ([4], 151), 52. ფეშქირი სპ.-თ. *peşkir* 'პირსახოცი': ([6], 138). 53. ორუბა იტალ.-თ. *urba* || *ruha* 'ტანსაცმელი', 'ქალის საშინაო ტანსაცმელი': ([3], 79). 54. კატი თ. *kat* 'ხელი' (ერთი ხელი ტანსაცმელი) ([6], 106).

თურქოლოგიის კათედრა

ლიტერატურა

1. Н. Я. Марр, Грамматика чанского (лазского) языка с хрестоматией и словарем. С.-Петербург, 1910.
2. И. Кишндзе, Дополнительные сведения о чанском языке, С.-Петербург, 1911.
3. ი. ყიფშიძე, ჰანური ტექსტები, ტფ. 1939.
4. არნ. ჩიქობავა, ჰანური ტექსტები. ნაკვეთი პირველი. ხოფური კილოკავი, 1929.
5. არნ. ჩიქობავა, ჰანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ. 1936.
6. ს. ჟღენტი, ჰანური ტექსტები. არქიბული კილოკავი. ტფ., 1936.
7. G. Dumézil, Contes lazès. Paris, 1937.
8. А. Н. Кононов, Грамматика современного турецкого литературного языка. Москва—Ленинград, 1956.

С. С. ДЖИКИЯ

## ИЗ ТУРЕЦКО-ЛАЗСКИХ ЯЗЫКОВЫХ ВЗАИМООТНОШЕНИЙ

## 4. О турецких лексических элементах в лазском

## Резюме

Под общим заглавием „Из турецко-лазских языковых взаимоотношений“ опубликованы три статьи: 1. Турецкие лексические кальки в лазском (Труды ТГУ, т. 108, 1964). 2. Турецкие синтаксические кальки в лазском (Юбилейный сборник ТГУ „Орион“, посвященный 80-летию со дня рождения А. Г. Шанидзе, 1967). 3. К передаче турецких звуков в лазском (Труды ТГУ, т. 8—9, 1974). Настоящая статья посвящена изучению турецких лексических наслоений в лазском. Дана попытка классификации турецкой заимствованной лексики по семантическим признакам и изучения дериватов лазской речи на основе турецких слов.

S. JIKIA

FROM TURKISH-LAZ LINGUISTIC INTERRELATIONS. ABOUT  
TURKISH LEXICAL ELEMENTS IN LAZ

## Summary

Three articles have already been published under the heading „From Turkish-Laz Linguistic Interrelations“: 1) Turkish Lexical Loan Words in Laz (TSU Proceedings, V. 108, 1964); 2) Turkish Sintactical Loan Words in Laz (Orion, Tbilisi State University Collected papers dedicated to the 80 th anniversary of A. Shanidze, 1967). 3) On the rendering of Turkish Sounds in Laz (TSU Proceedings, V. 8—9, 1974).

The present article is devoted to the study of Turkish lexical layers in Laz. An attempt is made to classify the Turkish loan vocabulary according to the semantic characteristics and to study the derivatives of Laz speech on the basis of Turkish words.